საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1002

ქ. თბილისი

01/07/2021

შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზის“ ნავთობპროდუქტების საცავის განთავსებაზე (4 200 m^3 ტევადობის, 25 000 ტ ტვირთბრუნვით ნავთობბაზა) გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიაზე“ გადაცემის შესახებ

2021 წლის 2 ივნისს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზისა“ და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ დირექტორის მინდობილმა პირმა. შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზმა“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიაზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2008 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „ეკო ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის განთავსებაზე (4 200 m^3 ტევადობის, 25 000 ტ ტვირთბრუნვით ნავთობბაზა; ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია) გაიცა №21 (24.04.2008) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2011 წელს შპს „ეკო ჯორჯიამ“ შეიცვალა საფირმო სახელწოდება და ჩამოყალიბდა შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზის“ სახელით (იგივე საიდენტიფიკაციო ნომრით), რაც დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2021 წლის 24 ივნისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-929 ბრძანება „შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზის“ ნავთობპროდუქტების საცავის განთავსებაზე (4 200 m^3 ტევადობის, 25 000 ტ ტვირთბრუნვით ნავთობბაზა) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზის“ ნავთობპროდუქტების საცავის განთავსებაზე (4 200 $მ^3$ ტევადობის, 25 000 ტ ტვირთბრუნვით ნავთობბაზა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 24 ივნისის №2-929 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“;
2. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიამ“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 24 ივნისის №2-929 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასა“ და შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასა“ და შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი